განმარტებითი ბარათი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

პროექტის ინიციატორი _ მუნიციპალიტეტის მერია

პროექტის ავტორი _ საფინანსო, საბიუჯეტო სამსახური

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ;
ბ) პროექტის მიღების მიზეზები.
საქართველოს კონსტიტუციით, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით და საბიუჯეტო კოდექსით დაკისრებული ვალდებულება.
გ) პროექტის მიზანი
2020 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური ნუსხის დამტკიცება.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2020 წლის ბიუჯეტების პროექტების შედგენა, განხილვა, დამტკიცება და შესრულება ხორციელდება საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი", საქართველოს სხვა კანონების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებების შესაბამისად.

წარმოგიდგენთ 2020 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების პროექტს

დამატებული ღირებულების გადასახადი

2019 წლიდან საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, გათანაბრებითი ტრანსფერის და საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლად განისაზღვრა განაწილებული დამატებული ღირებულების გადასახადი (დამატებული ღირებულების გადასახადის 19%) რომლის განაწილება მოხდა ,,საქართველოს საბიუჯტო კოდექსში" ცვლილებების შეტანის

შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით განსაზღვრული 71-ე და 114-ე მუხლების შესბამისად. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად 2020 წლის პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადის 19% -დან სიღნაღის მუნიციპალიტეტიოს ბიუჯეტში 2020 წელს მიიმართება გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის 0,46%, რაც ნომინალურ გამოსახულებაში საორიენტაციოდ შეადგენს 4711.7 ათას ლარს, რომელიც დაკორექტირდება დამატებული ღირებულების გადასახადის საკასო შემოსავლების მიხედვით. (დანართი #

საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი

სიღნაღის მუნიციპალიტეტში არსებული ორგანიზაციების ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის შეადგენს 40000.29 ათას ლარს. საგადასახადო კოდექსის მიხედვით დაუბეგრავი უძრავი ქონება სიღნაღის მუნიციპალიტეტში არ არსებობს. აღნიშნულიდან გამომდინარე საწარმოთა ქონების გადასახადი უნდა დაიგეგმოს 400,0 ათასი ლარით 2019 წლის ბიუჯეტით აღნიშნული გადასახადის კუთხით დაგეგმილი იყო 400.0 ათასი ლარი, ხოლო 11 თვის ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 563.3 ათასი ლარი ზ/აღნიშნულის გათვალისწინებით გთავაზობთ საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის კუთხით შემოსულობებში დაიგეგმოს 850.0 ათასი ლარი (დანართი №).

ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი

ფიზიკურ პირთა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების ღირებულება განსაზღვრული საგადასახადო კოდექსის 211-ე მუხლის შესაბამისად გაანგარიშებული აქტივების ღირებულებისა და 183-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული ამორტიზაციის მიხედვით შეადგენს 12000.18 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე ფიზიკურ პირთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადი უნდა დაიგეგმოს 15.0 ათასი ლარით. ცნობისათვის 2019 წელს აღნიშნული შემოსულობების კუთხით დაგეგმილი იყო 15,0 ათასი ლარი, 11 თვეში შემოსავალი შეადგენს 17.0 ათას ლარს (დანართი №).

მიწაზე ქონების გადასახადი

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საერთო ფართობი შეადგენს 79907,2 ჰექტარს. აქედან სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობი შეადგენს 23745.6 ჰექტარს, საძოვარი შეადგენს 56161.6 ჰექტარს, საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის მე-19 ნაწილით განსაზღვრული მიწის დანარჩენი ფართობი რომელიც თავისუფლდება მიწის გადასახადისაგან შეადგენს 7396 ჰექტარს. დასაბეგრი მიწის ფართობი შეადგენს 72511,2 ჰექტარს. აღნიშნულ ფართობზე

შესაბამისი გადასახადების დარიცხვით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ქონების გადასახადმა შეადგინა 1755,0 ათასი ლარი.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საერთო ფართობი შეადგენს 210 ჰექტარს. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ქონების გადასახადმა შეადგინა 98825 ლარი.

2019 წლის ბიუჯეტით მიწაზე ქონების გადასახადი დაიგეგმა 2285.0 ათასი ლარით. აქედან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი დაიგეგმა 2205.0 ათასი ლარით, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი დაიგეგმა 80.0 ათასი ლარით. 2019 წლის 11 თვეში მიწაზე ქონების გადასახადის ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 2508.4 ათასი ლარი. აქედან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადმა შეადგინა 2396.5 ათასი ლარი, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადმა 111.9 ათასი ლარი. გთავაზობთ მიწაზე ქონების გადასახადი 2020 წლის ბიუჯეტით დაიგეგმოს 2235,0 ათასი ლარით. აქედან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი დაიგეგმოს 2155,0 ათასი ლარით. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი დაიგეგმოს 80,0 ათასი ლარით (დანართი №).

სულ გადასახადები დაიგეგმოს 7811.7 ათასი ლარით.

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად განისაზღვროს 145,0 ათასი ლარით

სხვა შემოსავლები

შემოსავალი პროცენტებიდან

შემოსავალი პროცენტებიდან 2019 წლის 11 თვეში მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 15.3 ათასი ლარი, გთავაზობთ აღნიშნული შემოსავალის დაგეგმვას 40,0 ათასი ლარით.

სულ, შემოსავალი პროცენტებიდან დაიგეგმოს 40,0 ათასი ლარით (დანართი №).

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი დაგეგმილი იყო 2019 წლის ბიუჯეტით 15,0 ათასი ლარი, ფაქტიურად 11 თვეში შემოვიდა 10.3 ათასი ლარი. გთავაზობთ, აღნიშნული მოსაკრებელი 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობებში დაიგეგმოს 15,0 ათასი ლარით (დანართი №).

შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან

აღნიშნული მოსაკრებლის კუთხით, გთავაზობთ 2020 წელს დაიგეგმოს 27,6 ათასი ლარი. (დანართი №).

სანებართვო მოსაკრებელი

აღნიშნული მოსაკრებლის კუთხით 2019 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 35,0 ათასი ლარი, ხოლო 11 თვის ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 23.1 ათასი ლარი. გთავაზობთ მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი დაიგეგმოს 35,0 ათასი ლარით. (დანართი №).

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი

სიღნაღის მუნიციპალიტეტში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის აღრიცხვაზე აყვანილ წვევამდელთა რაოდენობაა 1391. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას ექვემდებარება 414. სხვადასხვა მიზეზით გადავადებას (განთავისუფლებას) ექვემდებარება 209. აქედან მოსაკრებელს გადაიხდის 5 წვევამდელი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების ყოველწლიური მოსაკრებელი „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შეადგენს 2.0 ათას ლარს, „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხება მოსაკრებლის 90%, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტში – 10%. აღნიშნულიდან გამომდინარე სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი გთავაზობთ დაიგეგმოს 0,4 ათასი ლარის ოდენობით (დანართი №).

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი დაიგეგმოს 120,0 ათასი ლარით. აღნიშნული კუთხით მ. წ. 11 თვეში შემოსულია 90,0 ათასი ლარი. (დანართი №).

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის

სიღნაღის მუნიციპალიტეტში ქ. სიღნაღს, ქ. წნორს და სოფ. საქობოს ტერიტორიის დასუფთავებაზე და ნაგვის გატანაზე ემსახურება ა(ა)იპ „კომუნალური 1", აღნიშნული მოსაკრებლის სახით განსაზღვრულია ერთ სულ მოსახლეზე 40 თეთრის ოდენობით. თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის და საწარმოების რაოდენობას აღნიშნული გადასახადის კუთხით ბიუჯეტის შემოსულობებში გთავაზობთ 45,0 ათასი ლარის დაგეგმვას (დანართი#).

შემოსავლები მომსახურების გაწევიდან

აღნიშნულ შემოსავლებში გაერთიანებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავალი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურებიდან. მ/წლის 11 თვის ბიუჯეტში მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 42.9 ათასი ლარი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გთავაზობთ 2020 წლის ბიუჯეტში დაიგეგმოს 53,0 ათასი ლარი (დანართი № 13).

შემოსავალი სანქციებიდან

სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო დარიცხული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები), 2019 წლის 11 თვეში შემოსულია 177.3 ათასი ლარი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნულ მუხლში შემოსავლები დაიგეგმოს 180,0 ათასი ლარით.)

სულ შემოსავალი ჯარიმები, სანქციებიდან და საურავებიდან გთავაზობთ დაიგეგმოს 180.0 ათასი ლარით. (დანართი №14).

სულ შემოსავლები დაიგეგმოს 8472.7 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივების კლება

აღნიშნული შემოსულობების კუთხით გთავაზობთ 2020 წლის ბიუჯეტში დაიგეგმოს 477.3 ათასი ლარი. მათ შორის: ძირითადი აქტივები 477.3 ათასი ლარი.

– 2019 წელს დაიგეგმა ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან 660.9 ათასი ლარი (ფაქტიურად 11 თვეში სულ შემოვიდა 272.5 ათასი ლარი, მ. შ: 1.4 ათასი ლარი მატერიალური მარაგებიდან, 181,9 ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან, 89.2 ათასი ლარი - მიწის გაყიდვიდან.)

სულ არაფინანსური აქტივების კლების კუთხით დაიგეგმოს 477.3 ათასი ლარი. (დანართი№).

სულ შემოსულობები დაიგეგმოს 8950.0 ათასი ლარით.

წარმოგიდგენთ 2020 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დასაგეგმი გადასახდელების პროექტს

I, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დაიგეგმოს 448,0 ათასი ლარით,
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება დაიგეგმოს 36.4 ათასი ლარით.
მივლინებები დაიგეგმოს 4,5 ათასი ლარით.
ოფისის ხარჯები 24.8 ათასი ლარით.
მათ შორის:

– საწერ-სახაზავი ქაღალდის და სხვა ანალოგიური საქონლის შეძენა 3,0 ათასი ლარით,

– ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები 6,0 ათასი ლარი,

– კომპიუტერული ტექნიკის შეძენა 5.0 ათასი ლარი
– კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა 2,0 ათასი ლარი
– გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკა 2.0 ათასი ლარი
- საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი 0.3 ათასი ლარი.
–კავშირგაბმულობის ხარჯები 6,1 ათასი ლარი, მ.შ.
სატელეფონო და ინტერნეტით მომსახურების ხარჯი 6,1 ათასი ლარი.
–საფოსტო მომსახურება 0,4 ათასი ლარი.
– წარმომადგენლობითი ხარჯები 5,0 ათასი ლარი.

ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები დაიგეგმოს 56.3 ათასი ლარით.

მათ შორის:

– საწვავის შესაძენად 50,3 ათასი ლარი.
– მიმდინარე რემონტის ხარჯები 1.0 ათასი ლარი.
– სათადარიგო ნაწილების შეძენა 5.0 ათასი ლარი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 9,5 ათასი ლარი (4,5 ათასი ლარი გათვალისწინებულია კადრების მომზადება-გადამზადებისთვის, 5,0 ათასი ლარი - სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის).

სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები დაიგეგმოს 3,0 ათასი ლარით.
სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები დაიგეგმოს 72,5 ათასი ლარი

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაიგეგმოს 43.7 ათასი ლარით. მ. შ: კომპიუტერებისა და პრინტერების შესაძენად 5,0 ათასი ლარი;

სულ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები დაიგეგმოს 703.7 ათასი ლარით (დანართი №).

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია

მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დაიგეგმოს 1135.6 ათასი ლარით.
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება დაიგეგმოს 51.2 ათასი ლარით.
მივლინებები დაიგეგმოს 30.4 ათასი ლარით.
ოფისის ხარჯები 218.9 ათასი ლარით.
მათ შორის:
– საწერ-სახაზავი ქაღალდის და სხვა ანალოგიური საქონლის შეძენა 10,0 ათასი ლარით,
– კომპიუტერული პროგრამების შეძენის ხარჯი 3.6 ათასი ლარი,
– კომპიუტერული ტექნიკის შეძენა 3.5 ათასი ლარი
– კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა 4.8 ათასი ლარი
– გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკის შეძენა 0,3 ათასი ლარი
– საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი 1.0 ათასი ლარი
– საოფისე ავეჯის შეძენა 5.0 ათასი ლარი
– შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი 35.8 ათასი ლარი
სარფისე ტექნიკის, ინვენტარის მანქანა დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი ---1.0 ათასი ლარი

■

– კავშირგაბმულობის ხარჯები 40.0 ათასი ლარი, მ.შ.
სატელეფონო და ინტერნეტით მომსახურება 40,0 ათასი ლარი
-საფოსტო მომსახურება 2,4 ათასი ლარი,
-ელექტროენერგიის ხარჯები 40,0 ათასი ლარი
-წყლის ხარჯი 50.0 ათასი ლარი
-ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი 20.0 ათასი ლარი

-წარმომადგენლობითი ხარჯები 20.0 ათასი ლარი

ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები დაიგეგმოს 148.0 ათასი ლარით.
მათ შორის:
– საწვავის შესაძენად 123.0 ათასი ლარი.

– მიმდინარე რემონტის ხარჯები 15,0 ათასი ლარი
– სათადარიგო ნაწილების შეძენა 10,0 ათასი ლარი

სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი 81,5 ათასი ლარი. აქედან 11,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია კადრების მომზადება-გადამზადებისთვის, შენობის დაცვის ხარჯი 56.8 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი – 10,7 ათასი ლარი. აუდიტორული მომსახურეობის 1,5 ათასი ლარი, 1,5 ექსპერტიზის ხარჯი.

სუბსიდიის ხარჯი დაიგეგმოს 50,0 ათასი ლარით

სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები დაიგეგმოს 5.2 ათასი ლარით

სხვა ხარჯები 35,2 ათასი ლარი.

სხვადასხვა კაპიტალური ხარჯი 35,2 ათასი ლარი

არაფინანსური აქტივების ზრდა დაიგეგმოს 10,0 ათასი ლარი.

სულ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯები დაიგეგმოს 1786,0 ათასი ლარით (დანართი №).

სარეზერვო ფონდი

სარეზერვო ფონდი დაიგეგმოს 50.0 ათასი ლარით.

შესყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები დაიგეგმოს 5.0 ათასი ლარით

რეგიონალური განვითარების ფონდი

გრანტების მუხლი განისაზღვროს 58,0 ათასი ლარით.

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ხარჯები დაიგეგმოს 307,1 ათასი ლარით. (დანართი#).

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დაიგეგმოს 94,4 ათასი ლარით.

ოფისის ხარჯები დაიგეგმოს 12,0 ათასი ლარით.

ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები დაიგეგმოს 9,0 ათასი ლარით.

მათ შორის:

– საწვავის შესაძენად 6,3 ათასი ლარი.
– მიმდინარე რემონტის ხარჯი 2,7 ათასი ლარი.
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება დაიგეგმოს 0,7 ათასი ლარით.

სულ, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯები დაიგეგმოს 106,4 ათასი ლარით (დანართი #).

2019 წელს მუნიციპალიტეტის მერიას და საერთაშორისო სოლიდარობის ფონდს (პოლონეთი) შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ,,სამოქალაქო ბიუჯეტის" შედგენის და შემდგომში 2020 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახვისთვის, ,,სამოქალაქო ბიუჯეტის" ფარგლებში ვერიფიცირებული (შერჩეული) 40 პროექტიდან სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭომ დაამტკიცა 25 პროექტი. (დანართი #)

II. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

გზების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები

1, სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯების მუხლი განისაზღვროს 20,0 ათასი ლარით, აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია შიდა გზების მოვლა-შენახვაზე. და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი სამოქალაქო ბიუჯეტით განისაზღვროს 99,0 ათასი ლარი, მ.შ. (სოფელ ანაგაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოსასვლელი მანიშნებლის მოწყობა 25,0 ათასი ლარი, სოფელ ტიბაანში სასფლაომდე მისასვლელი გზის მოხრეშვა, გასუფთავება და წყლის ონკანის მოწყობა --17,0 ათასი ლარი, და სოფელ ტიბაანში სოფლის ცენტრალურ გზაზე სატრანსპორტო შემაფერხებლის მოწყობა --2,0 ათასი ლარი, სოფელ ჯუგაანში ,,კერამიკისა" და ,,კოკოლიანთ" უბნების დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის მოწყობა სანიაღვრე არხზე --15,0 ათასი ლარი, სიღნაღი-ვაქირის დამაკავშირებელი საფეხმავლო ბილიკის შესწავლა და შემდგომში ტურიზმზე ორიენტირებული გზის მოწყობა 40,0 ათასი ლარი)

2, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი განისაზღვროს 99,0 ათასი ლარით

3, სულ გზების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების დაგეგმვას გთავაზობთ 119,0 ათასი ლარით (დანართი №).

მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი დაიგეგმოს 9,0 ათასი ლარით. აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია: ილიაწმინდა – წნორი (არქიმედეს კლინიკა) მარშრუტის მომსახურებაზე 6,0 ათასი ლარი, და ერისიმედი - წნორი მარშრუტის მომსახურებაზე 3,0 ათასი ლარი.
სულ მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ხარჯები დაიგეგმოს 9,0 ათასი ლარით (დანართი №32).

ბინათმშენებლობის მუხლის დაფინანსება განისაზღვროს 40.0 ათასი ლარით

გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

საქონელი და მომსახურების ხარჯები განისაზღვროს 200,7 ათასი ლარით. ელ. ენერგიის ღირებულება - 200,7 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი განისაზღვროს 28,0 ათასი ლარით (სამოქალაქო ბიუჯეტით), (სოფელ ნუკრიანში ,,ტოღნოღაანთ„ უბანში არსებულ 18 ბოძზე სანათების მოწყობა-10,0 ათასი ლარი, და ახალი დასახლების უბანში გარე განათების მოწყობა - 10,0 ათასი ლარი, სოფელ ჯუგაანში სკოლიდან საწყობამდე არსებულ ბოძებზე გარე განათების მოწყობა 5,0 ათასი ლარი და სოფელ მაჩხაანში ფანიანის დასახლების ,,რუსთაველების" ორღობეში 3 განათების ბოძის დადგმისთვის 3,0 ათასი ლარი)

სულ, გარე განათების რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის ხარჯები დაიგეგმოს 228,7 ათასი ლარით (დანართი№).

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი განისაზღვროს 440.9 ათასი ლარით.

სულ, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები განისაზღვროს 440.9 ათასი ლარით

ა(ა)იპ ,,კომუნალური 1" -ის დაფინანსება

სუბსიდიის მუხლი დაიგეგმოს 1050,0 ათასი ლარით (დანართი №)

ა(ა)იპ ,,კომუნალური 1" -ის ხარჯები დაიგეგმოს 1050,0 ათასი ლარით

პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობის და ფინანსება

სამოქალაქო ბიუჯეტით განისაზღვროს 146,0 ათასი ლარით,

(მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანში ,,ჩემი, შენი, ჩვენი უბანი- გამწვანება"-6 ათასი ლარი, სკვერში ტრენაჟორების განთავსება, არსებულ 18 ბოძზე სანათების დამონტაჟება-- 15,0 ათასი ლარი, კალოების უბანში ახალგაზრდებისთვის სკვერის მოწყობა-20,0 ათასი ლარი, სოფელ ბოდბეში სკვერის მოწყობა, გამწვანება, სკვერის განათება, სასმელი წყლის ფანტანის, საბავშო ატრაქციონების განთავსება-

-20,0 ათასი ლარი, ქ. წნორში რუსთაველის ქუჩაზე (ყოფილი მილანის სტადიონის მიმდებარედ) ტყე-პარკში სკვერის და ტრენაჟორების მოწყობა-25,0 ათასი ლარი, ქ წნორის სკვერში საბავშო ატრაქციონების დამატება 10,0 ათასი ლარი, სოფელ ანაგაში მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე პარკის მოწყობა 30,0 ათასი ლარი, სოფელ ქვემო მაჩხაანში არსებული სკვერის რეაბილიტაცია --20,0 ათასი ლარი).

სულ პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობის დაფინანსება განისაზღვროს 146,0 ათასი ლარით

სოფლის მეურნეობის დაფინანსება

სამოქალაქო ბიუჯეტით განისაზღვროს 8,0 ათასი ლარი, (სოფელ ბოდბეში სოფლისთვის ელექტრო სასწორის მოწყობა -8,0 ათასი ლარი).

III. სკოლამდელი განათლების დაფინანსება

ა(ა)იპ "სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების" ხარჯები დაიგეგმოს 1900,0 ათასი ლარით.

მათ შორის:

სუბსიდიის მუხლი დაიგეგმოს 1900,0 ათასი ლარით (დანართი №).

ა(ა)იპ "სიღნაღის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის" ხარჯები დაიგეგმოს 71,6 ათასი ლარით (დანართი №).

IV. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის" ხარჯები დაიგეგმოს 260.3 ათასი ლარით.

მათ შორის:

სუბსიდიის მუხლი დაიგეგმოს 260.3 ათასი ლარით (დანართი №).

სამოქალაქო ბიუჯეტით სპორტის დაფინანსება განისაზღვრა 164.0 ათასი ლარით (ქ. სიღნაღში „ორმილას დასახლებისთვის სპორტული და ბავშვთა გასართობი აღჭურვილობის მოწყობა -29,0 ათასი ლარი, სოფელ ილიაწმინდაში მინი სტადიონის მიმდებარეად გადახურული ტრენაჟორების მოწყობა-- 25,0 ათასი ლარი, სოფელ ტიბაანის სპორტული მოედნისთვის გასახდელის და საშხაპეების მოწყობა --45,0 ათასი ლარი, სოფელ ბოდბისხევში ადმინისტრაციული შენობის ერთ-ერთ ოთახში ტრენაჟორების დარბაზის მოწყობა --30,0 ათასი ლარი, მაჩხაანში „ფანიანის" უბანში არსებულ სპორტულ მოედანზე ტრენაჟორების მოწყობა-- 10,0 ათასი ლარი, მაჩხაანში სატრენაჟორო დარბაზის მოწყობა --25,0 ათასი ლარი)

ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების" ხარჯები დაიგეგმოს 243,6 ათასი ლარით.

მათ შორის:

სუბსიდიის მუხლი განისაზღვროს 243,6 ათასი ლარით (დანართი №) .

ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრის" ხარჯები დაიგეგმოს 254,1 ათასი ლარით. მათ შორის:

სუბსიდიის მუხლი დაიგეგმოს 254,1 ათასი ლარით (დანართი №).

ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის" ხარჯები დაიგეგმოს 271,0 ათასი ლარით.

მათ შორის:

სუბსიდიის მუხლი დაიგეგმოს 271,0 ათასი ლარით (დანართი №).

საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება

1,ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსების სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯები განისაზღვროს 6,0 ათასი ლარით,

2, სამოქალაქო ბიუჯეტით 30,0 ათასი ლარი (სოფელ მაღაროს კულტურის სახლში არსებული ცეკვის დარბაზის კოსმეტიკური რემონტის ჩასატარებლად- 30,0 ათასი ლარი)

2, სულ, ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯები დაიგეგმოს 36,0 ათასი ლარით (დანართი №).

საინფორმაციო ცენტრი

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი განისაზღვროს 15,0 ათასი ლარით. აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია გაზეთების „სიღნაღის“, „სპექტრის“ და საინფორმაციო სააგენტოებისათვის (დანართი №).

რელიგიური საქმიანობა

სხვა ხარჯები განისაზღვროს 20.0 ათასი ლარით (დანართი №).

V. სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები (სულ 656.6,0 ათასი ლარი)

ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" მომსახურების ხარჯები განისაზღვროს 56.6 ათასი ლარით. (დანართი#51).

სოციალური პროგრამები სულ 600,0 ათასი ლარი

მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ხარჯები დაიგეგმოს 291,0 ათასი ლარით,

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის ღონისძიებების ხარჯები დაიგეგმოს 20,0 ათასი ლარით, აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია ყველა ახალშობილზე
(დანართი №).

სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარებული მოსახლეობის დახმარების ხარჯები დაიგეგმოს 40.0 ათასი ლარით.

სხვა სოციალური ღონისძიებები დაიგეგმოს 32,4 ათასი ლარით.
მ.შ. (სამოქალაქო ბიუჯეტით 10,0 ათასი ლარი (სოფელ ნუკრიანში ჯანდაცვის კუთხით ფარისებრი ჯირკვლის კვლევისთვის 10,0 ათასი ლარი)

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დახმარების ხარჯები დაიგეგმოს 8.0 ათასი ლარით (დანართი #).

სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების დაიგეგმოს 1,0 ათასი ლარით.

ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დახმარების ხარჯები დაიგეგმოს 2,0 ათასი ლარით (დანართი№).

შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა მატერიალური და სამედიცინო დახმარების ხარჯები დაიგეგმოს 48,3 ათასი ლარით.

მარჩენალდაკარგულისა და მარტოხელა დედების სოციალური დაცვის ღონისძიებების ხარჯები დაიგეგმოს 6.0 ათასი ლარით (დანართი№).

სოციალურად დაუცველი სტუდენტების დახმარება 18,0 ათასი ლარი

სოციალური ღონისძიებების ხარჯები გაიცემა საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად.

ა(ა) იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილოს დაფინანსება განისაზღვროს 133,0 ათასი ლარით

VI. სულ, 2020 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის გადასახდელები დაიგეგმოს 8950.0 ათასი ლარით.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის
პირველი მოადგილე: მადონა ბატიაშვილი

მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-
საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: მალხაზ სიფრაშვილი